დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ირმა ხმელიძე

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**232387663**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურები**

ფაქტობრივი მისამართი	**თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურები**
საფოსტო ინდექსი	**2500**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**tushurebi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**599 33 26 93**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 4 26 0000210170, 24.02.2026**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დოკუმენტების შესწავლით

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი**
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა 1 შენობა-ნაგებობა.**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა 1 შენობა-ნაგებობა.**

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა 1 შენობა-ნაგებობა.**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 19 თებერვლის MES 1 26 0000191584 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრი - ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“ და ,,გ" პუნქტის ,,გ.ა", გ.დ", ,,გ.ე" და ,,გ.ვ" ქვეპუნქტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განახორციელება სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის (ს/კ:232387663) დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი).

სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა**
90	**41**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. და

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N..		
სტანდარტი N3		*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,**	**სკოლას მიეცა შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაციები:** • უზრუნველყოს განახლებული კომუნიკაცია უფლებამოსილ უწყებასთან და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვის მიზნით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 02.04.2026-დან 15.06.2027-მდე (15 თვე) • უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება სტანდარტებთან

	სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 05.04.2026-05.02.2027 (10 თვე). • უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 5.04.2026-05.02.2027 (10 თვე). • უზრუნველყოს საჭირო ვიდეო სათვალთვალო სისტემის დამონტაჟება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 10.02.2026-10.05.2026 (4 თვე)
ინდიკატორი N.3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	• ინკლუზიური გარემოს სრულად ჩამოყალიბების მიზნით სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის ან პანდუსების დამონტაჟება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 02.04.2026 - 05.02.2028 (22 თვე)

V. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.4.		**სკოლას მიეცა რჩევა** - სკოლის სამოქმედო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს თუ რა ფინანსური, მატერიალური და რომელი ადამიანური რესურსით ახორციელებს კონკრეტულ აქტივობას.
ინდიკატორი N1.2.2.2.	**მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**	**სკოლას მიეცა რჩევა** - შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და შეიმუშაოს მკაფიო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება პერიოდულობა, მეთოდები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები. პარალელურად, მნიშვნელოვანია სისტემატური მონაცემთა შეგროვება (ტესტები, დაკვირვება, უკუკავშირი), ხოლო მიღებული შედეგების საჯარო გაზიარება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან მართვას, გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სკოლაში ხარისხიანი განათლების უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი N1.2.2.3.	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**	**სკოლას მიეცა რჩევა** - სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ანგარიშების საჯაროობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვებ-გვერდით. ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის - მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, პედაგოგებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ანგარიშები უნდა განთავსდეს ასევე საინფორმაციო დაფაზე და დახურულ სოციალურ ჯგუფებში. ასევე სასურველია ანგარიშების წარდგენა კრებებზე მშობლების შეტყობინებების საშუალებით, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა კითხვების დასმისა და შენიშვნების გაჟღერების. ასეთი მრავალარხიანი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციაზე სრული და გამჭვირვალე წვდომას, ზრდის საზოგადოების ნდობას, ხელს უწყობს მიზნების შესრულებას და სტრატეგიული გეგმების ეფექტურ განხორციელებას.
ინდიკატორი N1.2.2.4.	**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**	**სკოლას მიეცა რჩევა** - რომ ყველა ანალიზი, დაგეგმილი ინტერვენცია და განხორციელებული ნაბიჯი სისტემურად და დოკუმენტურად აღირიცხოს. ეს უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და მიღწეული შედეგების ობიექტურ შეფასებას, ასევე ხელს უწყობს ეფექტიან ანგარიშგებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1	**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**	**სკოლას მიეცა რჩევა:** სკოლის სტრუქტურა მოიყვანოს შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტთან. კერძოდ, დამრიგებლები, როგორც ცალკე სტრუქტურული ნაწილი ამოიღოს დიაგრამიდან.
3.4.1.2	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**	**რჩევა:** სკოლამ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დოკუმენტი დაამტკიცოს დირექტორის ბრძანებით შესაბამისი წესების დაცვითა და პროცედურებით.
3.4.1.6	**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**	**რჩევა:** სკოლამ მოახდინოს თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვა კანონთან შესაბამისი წესის მიხედვით და დაეყრდნოს პერსონალურ მონაცემთა

		დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმებს დოკუმენტის მე-3 მუხლის პუნქტ 3-ს და მე-6 მუხლის პუნქტ 1-ს .

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

ინდიკატორი N.1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება	**შესრულებულია**
ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. გაითვალისწინოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური	***შესრულებულია***
ინდიკატორი N.3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლის შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრული თანამშრომლის მიღების წესის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანება)	***ნაწილობრივ შესრულებულია*** *სკოლამ* თანამშრომლის მიღების წესი ასახა

			ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში.
ინდიკატორი N.3.1.2	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს, რომ სკოლაში დასაქმებულ ყველა პირს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, წარმოდგენილი ჰქონდეთ საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 1 -ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“; სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ შესაბამისობაში მოიყვანოს დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ასევე, გაითვალისწინოს მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები.	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის შემოღობვა; შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შექმნა, შეთანხმება, დამტკიცება; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვება; სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო კამერებით.	*არ შესრულებულა* *სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა*
ინდიკატორი N.3.4.1	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშავოს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა	*შესრულებულია*

		დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და ასევე, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.	
ინდიკატორი N.3.5.1	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით აღებული ვალდებულების შესრულება. კერძოდ, სკოლის შიდა პერიმეტრზე ლიფტის ან მოძრავი პანდუსის დამონტჟება	*არ შესრულებულა* *სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა*
ინდიკატორი N.3.6.2	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დაამზადებინოს და აამოქმედოს ვებ გვერდი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მიზნით.	*შესრულებულია*
ინდიკატორი N.3.6.3	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, რომლის ერთ ერთ ვალდებულებად განისაზღვრება ვებ გვერდის ფუნქციონირება ქართულ ენაზე.	*შესრულებულია*
ინდიკატორი N.3.6.3	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, სკოლის ვებ გვერდზე ასახოს შესაბამისი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური	*შესრულებულია*

	დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო **სკოლის მისიაა** - ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღზარდოს კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

სკოლის ხედვა

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21 - ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მიაღწევს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც დაიმკვიდრებენ თავს შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიო მასშტაბით.

სკოლის ღირებულებებია:

თანამშრომლობა
გუნდურობა
გამჭვირვალობა
დემოკრატია
ობიექტურობა
განვითარება და ინოვაციურობა

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად თანხვედრაშია **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან**. **მისია** ორიენტირებულია უსაფრთხო, ჯანსაღ და პოზიტიურ სასწავლო გარემოში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებულ სწავლებაზე. აღნიშნული მიმართულებები ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების მქონე, პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რაც წარმოადგენს ეროვნული მიზნების ერთ-ერთ ცენტრალურ პრიორიტეტს.

სკოლის ხედვა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, სრულად შეესაბამება თანამედროვე განათლების პოლიტიკის მოთხოვნებს. ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების ინტეგრაცია, ასევე მეტაკოგნიციის განვითარებაზე აქცენტი, უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი სწავლისა და უწყვეტი განათლების უნარების ჩამოყალიბებას.

სკოლის ღირებულებები - თანამშრომლობა, გუნდურობა, გამჭვირვალობა, დემოკრატია, ობიექტურობა და ინოვაციურობა - ქმნის ორგანიზაციულ კულტურას, რომელიც ხელს უწყობს სამართლიან, ინკლუზიურ და განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს. აღნიშნული ღირებულებები პირდაპირ უკავშირდება ეროვნულ მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეების აღზრდას. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სტრატეგიულად თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ქმნის საფუძველს ისეთი საგანმანათლებლო გარემოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ და აკადემიურ განვითარებას თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს როგორც უსაფრთხო, პოზიტიურ და განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს. მისიის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღ და უსაფრთხო სასკოლო გარემოს, სადაც ხარისხიანი განათლებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების საფუძველზე მიმდინარეობს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი და პიროვნული განვითარება.

ხედვა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა აღჭურვაზე 21-ე საუკუნის კომპეტენციებით, მეტაკოგნიციის განვითარებასა და უწყვეტი განათლების პროცესში აქტიურ ჩართულობაზე, კიდევ უფრო ამყარებს სკოლის ფუნქციას როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც მოსწავლეები იძენენ არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნას, არამედ სოციალურ, კულტურულ და გლობალურ კომპეტენციებს.

სკოლის მისია და ხედვა სკოლას წარმოაჩენს როგორც უსაფრთხო, ინკლუზიურ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სრულფასოვან სოციალურ, მოქალაქეობრივ და აკადემიურ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრის მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით (№2-32ა, 29.08.2023) ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რაც ასევე გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით. ჯგუფში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მშობლები და სოფელ ტუშურების თემის გამგეობის წარმომადგენლები.

წარმოდგენილი ოქმის №2 (29.08.2023) მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა განიხილა სტრატეგიული გეგმის პროექტი, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები, რის შემდეგაც მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დოკუმენტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება განახორციელა სასკოლო ღონისძიებებით, შეხვედრებით, ასევე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით. აღნიშნულმა პროცესმა ხელი შეუწყო სკოლაში ერთიანობისა და საერთო პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი ფოტომასალის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროდ ხელმისაწვდომობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება "სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- დირექტორის ბრძანება - სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების, სტრატეგიული მიმართულებების დაგეგმვისა და განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით.

დოკუმენტი ასევე არეგულირებს პროცესში ჩართული პირების როლებსა და პასუხისმგებლობებს, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების წესებს, აგრეთვე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში ხორციელდება შვიდწლიანი ციკლით, ხოლო ახალი გეგმის მომზადება იწყება მოქმედი გეგმის დასრულებამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლამ შეიმუშავა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2023–2030 სასწავლო წლებისთვის, რომელშიც შეტანილი ცვლილებები შეთანხმებულია და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 6 სექტემბერს (ოქმი №1 ცვლილება გამოიწვია მისიისა და ხედვის ცვლილებამ). მიუხედავად ამისა, დოკუმენტის თავფურცელზე არ არის მითითებული დამტკიცების თარიღი და ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაცია.

დასკვნის პროექტის შემუშავების პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტის თავფურცელზე, მითითებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების პერიოდად განასაზღვრული იყო 2023–2030 სასწავლო წლებით, თუმცა თავად დოკუმენტში საწყის პერიოდად დაფიქსირებული იყო 2023–2025 სასწავლო წელი (ნაცვლად 2023–2024), ხოლო ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2031 წელი.

ექსპერტთა მოსაზრებით დოკუმენტის შიგნით არსებული უზუსტობები წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ხარვეზს, რომელიც სერიოზულად ართულებს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შესრულების ობიექტურ შეფასებას, გარდა ამისა, ასეთმა შეუსაბამობამ შესაძლოა გამოიწვიოს იურიდიული და ადმინისტრაციული ხარვეზები, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის სკოლის მართვის პროცესების სანდოობას და ანგარიშვალდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც "არ შეესაბამება".

აქვე უნდა აღინიშნოს. რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ეს ხარვეზები აღმოფხვრილია. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და გახდა შესაბამისი.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თუშურების N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 6 სექტემბრის N1 სხდომაზე. სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ის ფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში ძირითადი სტრატეგიული მიზნები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტულ ამოცანებში. თითოეულ ამოცანას თან ერთვის შესრულების ვადა თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, ასევე ჩართული სხვა მხარეები. **რესურსების გრაფაში სკოლა შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით „ადამიანური რესურსი“ და/ან „ფინანსური რესურსი“, რაც არ არის დაკონკრეტებული და არ არის განსაზღვრული თუ რა ფინანსური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფს სკოლა კონკრეტული აქტივობის განხორციელებას. ექსპერტთა მოსაზრებით, მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითება არის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის რეალისტურობას, ფინანსურ მდგრადობას, რისკების მართვასა და შედეგების შეფასების შესაძლებლობას. რესურსების დეტალიზების არ არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს გეგმის განხორციელების სანდოობას და ეფექტიანობას, მაშინ როცა მათი მკაფიო განსაზღვრა აქცევს გეგმას პრაქტიკულად განხორციელებად და მართვად დოკუმენტად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა- სკოლის სამოქმედო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს თუ რა ფინანსური, მატერიალური და რომელი ადამიანური რესურსით ახორციელებს სკოლა კონკრეტულ აქტივობას.**

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2023-2030 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 6 სექტემბრის სხდომის ოქმი N1;
- სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმი N1;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში აღწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, ასევე წლიური ანგარიშის მომზადების წესები. წარმოდგენილია ის ძირითადი პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დაგეგმვა. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესად განიხილება და ხორციელდება შვიდწლიან პერიოდში ერთხელ. ახალი სტრატეგიული გეგმის მომზადება იწყება მოქმედი გეგმის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემთხვევაში გონივრულ ვადაში.

მეთოდოლოგიის თანახმად ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი ატარებს მონიტორინგს SWOT-ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი იკვლევს სუსტ მხარეებს, განისაზღვრება პრობლემების გამომწვევი მიზეზები და დაგეგმილა ინტერვენციები მათი გასაძლიერებლად. შესაბამისი აქტივობებისთვის განსაზღვრულია დრო და პასუხისმგებელი პირები. შედეგების საფუძველზე ჯგუფი უზრუნველყოფს უკუკავშირს და ამზადებს სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელიც წარდგება დირექტორის დამტკიცებისათვის. ასეთი პროცესი უზრუნველყოფს, რომ

სკოლის სამოქმედო გეგმა იყოს მიზანმიმართული, აქტუალური და რეალობასთან ახლოს, ხელს უწყობს სტრატეგიული გეგმის ეფექტურ განხორციელებას და თანაბრად ჩართულია ყველა წევრი სასკოლო საზოგადოებიდან.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებისა და შეფასების მეთოდით, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განსაზღვროს, თუ რამდენად მიღწეულია დასახული მიზნები და რამდენად ეფექტურად განხორციელდა მათი მიღწევისათვის განსაზღვრული აქტივობები.

ეს პროცესი უზრუნველყოფს სანდო, სასარგებლო და აქტუალურ ინფორმაციას სკოლის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, ზრდის საზოგადოების ნდობას, აძლიერებს პასუხისმგებელი პირებისა და სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას და ხელს უწყობს პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს დარღვევებისა და სუსტი მხარეების დროულ გამოვლენას, რაც სკოლას საშუალებას აძლევს მოქნილი და დროული რეაგირება მოახდინოს პრობლემურ საკითხებზე.

სკოლას მიეცა რჩევა - შექმნას მონიტორინგის ჯგუფი და შეიმუშაოს მკაფიო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება პერიოდულობა, მეთოდები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორები. პარალელურად, მნიშვნელოვანია სისტემატური მონაცემთა შეგროვება (ტესტები, დაკვირვება, უკუკავშირი), ხოლო მიღებული შედეგების საჯარო გაზიარება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიან მართვას, გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სკოლაში ხარისხიანი განათლების უწყვეტ გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ანგარიშების საჯაროობა სკოლის პროცესებში სისტემატურად არის უზრუნველყოფილი. ამისათვის, სკოლა წარუდგენს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს როგორც სამეურვეო საბჭოს, ასევე პედაგოგიურ საბჭოს.

აქვე სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ანგარიშების საჯაროობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ვებ-გვერდით. ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის - მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, პედაგოგებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. ანგარიშები უნდა განთავსდეს ასევე საინფორმაციო დაფაზე და დახურულ სოციალურ ჯგუფებში. ასევე მნიშვნელოვანია ანგარიშების წარდგენა კრებებზე მშობლების შეტყობინებების საშუალებით, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა კითხვების დასმისა და შენიშვნების გაჟღერების. ასეთი მრავალარხიანი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციაზე სრული და გამჭვირვალე წვდომას, ზრდის საზოგადოების ნდობას, ხელს უწყობს მიზნების შესრულებას და სტრატეგიული გეგმების ეფექტურ განხორციელებას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები უნდა იქნას დეტალურად გაანალიზებული, გამოყოფილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რისი საფუძველზეც სკოლა დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს სუსტი მხარეების გასაძლიერებლად. ამჟამად სკოლა ახორციელებს აღნიშნულ პროცესს, თუმცა შედეგები დოკუმენტურად ჯერ არ არის რეგისტრირებული.
შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - რომ ყველა ანალიზი, დაგეგმილი ინტერვენცია და განხორციელებული ნაბიჯი სისტემურად და დოკუმენტურად აღირიცხოს. ეს უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და მიღწეული შედეგების ობიექტურ შეფასებას, ასევე ხელს უწყობს ეფექტიან ანგარიშგებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.
წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2025-2032 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვით სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თითმმართველობა, 5 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ესენია:
1.სახელმწიფო ენისა და უცხო ენების კათედრა;
2.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
3. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;
4. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა;

5. დაწყებითი საფეხურის კათედრა

ასევე, სკოლის სტრუქტურაში მოცემულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, ტექნიკური პერსონალი: დარაჯი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში. სტრუქტურის დიაგრამში მოცემულია: ბიბლიოთეკარი, სკოლის ექთანი, სპეც-მასწავლებელი და დამრიგებლები. სკოლას ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით არ აქვს გაწერილი დამრიგებლების ფუნქცია-მოვალეობები, როგორც სტრუქტურის ნაწილისა. ასევე, დამრიგებლები ვერ იქნებიან წარმოდგენილი როგორც ორგანიზაციის ცალკე სტრუქტურული ნაწილი, რის გამოც **სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის სტრუქტურა მოიყვანოს შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტთან . კერძოდ, დამრიგებლები, როგორც ცალკე სტრუქტურული ნაწილი ამოიღოს დიაგრამიდან.**

შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს. აგრეთვე მასწავლებლების ხელშეკრულებები გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის მიერ მოწოდებულ ხელშეკრულებებში „დამსაქმებელის“ გრაფაში მითითებულია სკოლის დირექტორის სახელი და გვარი, რაც იურიდიულად გაუმართავს ხდის დოკუმენტს.

სკოლას მიეცა რჩევა: თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ, დამსაქმებლად მითითებული იქნას სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა და არა დირექტორი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დირექტორის 16 სექტემბრის N 2-28ა ბრძანებით დამტკიცებულია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. გეგმაში განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი კათედრის, კათედრის ხელმძღვანელის და დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ტუშურების საჯარო სკოლაში წარმოდგენილია 2023 წლის 28 ივლისის N2-20 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები. სტრატეგიულ შვიდწლიან გეგმაში ასახულია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ხოლო 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიან გეგმაში დეტალურადაა გაწერილი შესაბამისი ამოცანები და პასუხისმგებლობები.

დასკვნის პროექტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, დახარვეზდა, რამდენადაც არ იყო დამოწმებული შესაბამისი წესით, ასევე, დოკუმენტში დარღვეული იყო თავებისა და პუნქტების თანმიმდევრულობა და არ იკითხებოდა ძირითადი საკითხები, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს სკოლა ხარისხის უზრუნველყოფისას. თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 11 ოქტომბრის N2-27 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც ხარვეზები აღარ იკითხება. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრუქტურა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- თანამდებობრივი ინსტრუქციის განმსაზღვრელი დოკუმენტი;

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წწ;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პროცესების ამსახველი დოკუმენტები, კერძოდ, სკოლის სტუქტურა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების და ცალკეული დასაქმებული პირის ფუნქცია მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და გამოყენების წესი.

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მხრიდან გაცემული იქნა რეკომენდაცია შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ თანამშრომლის მიღების წესთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებთან. **მონიტორინგის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა ახალი შინაგანაწესი, რომელშიც ეს მუხლი არ ფიქსირდება, თუმცა ასევე წარმოადგინა ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკემენტი, რომელშიც განსაზღვრული თანამშრომლის მიღების წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებთან.**

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ახორციელებს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკას. კერძოდ, კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება ხდება საგნობრივ კათედრაზე. ხოლო, თუ სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის ინფორმირების წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ტუშურების საჯარო სკოლას, მონიტორინგის პროცესში, წარმოდგენილი აქვს ვაკანტურ თანამდებობაზე დირექტორის ბრძანებებით გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია . მათ შორის 2023 წლის 6 სექტემბრის **ბრძანება N1/კ-30** კონკურსის გამოცხადების შესახებ, 2023 წლის 6 სექტემბრის **ბრძანება N1/კ-31** საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, დირექტორის **ბრძანება N1/კ-32** საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ. დადგინდა, რომ სკოლაში კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე. კონკურსანტებიდან შესაბამისი კვლიფიკაციის კადრს არჩევს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი, შესაბამისი კათედრის წარმომადგენელი, რესურსცენტრის წარმომადგენელი. მოცემული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ უზრუნველყოფილია პერსონალის შერჩევის ობიექტურობა და გამჭვირვალეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ სკოლას ჰქონდა საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მაგრამ მონიტორინგის ეტაპზე არ წარმოუდგენია, რამაც ხელი შეუშალა ინდიკატორის სრულყოფილად შეფასების პროცესს.

აღნიშნული გაიწერა ხარვეზად, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც პასუხობს არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად შეფასება შეიცვალა და ინდიკატორის მოთხოვნები ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად.

ავტორიზაციის პერიოდისთვის პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პერსონალის ნაწილს, მათ შორის 2020 წლის შემდეგ მიღებულ პირებს, არ ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 1 - ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. მონიტორინგის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ყველა თანამშრომლის კანონით განსაზღვრული შესაბამისი ცნობები.

მასწავლებლებთან გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი, შემცვლელი). ასევე, მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით დასაქმებული მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ოდენობა არის მითითებული მოქმედი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“. რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ გაითვალისწინა ავტორიზაციის პროცესში მიცემული რეკომენდაცია და შესაბამისობის გეგმით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 32 თანამშრომელი: 21 მასწავლებელი, 1 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 სპეცმასწავლებელი, 2 დარაჯი, 1 ექთანი, 2 დამლაგებელი.

წარმოდგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი კათედრის, კათედრის ხელმძღვანელის და დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები.

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია სამი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულება - უფროსი, წამყვანი და უსტატუსო მასწავლებლის. სკოლის

მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge/) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ბოლოს 2025 წლის ნოემბრის თვეში გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი მასწავლებელთა ვაკანტურ ადგილებზე კანონის სრული დაცვით.
სკოლას ჰყავს ექთანი, რაც დასტურდება წარმოდგენილი ხელშეკრულებით, ასევე წარმოდგენილია ექთნის პოზიციაზე მომუშავე პირის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის წევრები ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმის ჩარჩოს, სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ სწავლების შედეგებს და გეგმავენ გადაჭრის გზებს. სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები ორიენტირებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. სკოლამ წარმოადგინა კათედრებზე პადაგოგთა შეხვედრების ოქმები სხვადასხვა საკითხში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუს და წარმოდგენილი ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებზე იგეგმება: კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, აქტუალურია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. ასევე, სკოლაში შექმნილია თიმსისა და სოციალური ქსელის (facebook) ჯგუფები, სადაც კოლეგებს შორის ინტენსიურად ხდება სიახლეების, ინფორმაციის, დამხმარე რესურსების გაზიარება.
ამდენად იკვეთება, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს.
წარმოდგენილი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის, სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმისა და წახალისების მექანიზმების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. მონიტორინგის პროცესში სოციალური ქსელების შესწავლამაც დაადასტურა, რომ აღნიშნული არხებით აქტიურად ვრცელდება სასწავლო პროექტებთან დაკავშირებული წარმატებული პრაქტიკა.
ამასთან, 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს ადამიანური რესურსების განვითარებისკენ მიმართული კონკრეტული ამოცანები, მათ შორის: საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და შედეგების ანალიზი, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, შიდა შეხვედრების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგებისა და სემინარების მოძიება და ინფორმაციის გავრცელება.
წარმოდგენილი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- ერთწლიანი გეგმა 2025-2026;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშრომელთა პირადი საქმე;
- დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის **ბრძანება N1/კ-30** კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- 2023 წლის 6 სექტემბრის **ბრძანება N1/კ-31** საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;
- დირექტორის **ბრძანება N1/ კ-32** საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება დოკუმენტით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ (დირექტორის ბრძანება N2-18- 18.09.2024) დოკუმენტი სკოლაში უზრუნველყოფს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.
სკოლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი არ არის შემოღობილი. სკოლას ეზოს შემოღობვის ვალდებულება შესაბამისობის გეგმით ჰქონდა ნაკისრი. ფინანსური სიმწირის გამო, სკოლამ ჯერ კიდევ 2023 წელს, დახმარებისთვის მიმართა ადგილობრივი განათლების რესურს-ცენტრს თხოვნით, ეშუამდგომლათ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან არსებული პრობლემის მოგვარებაში. მონიტორინგის ეტაპისთვის სახელმწიფო სისტემაში სტრუქტურული ცვლილების შედეგად ინფრასტრუქტურის საკითხების მოგვარების ფუნქციები შეთავსებული აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, აღნიშნული მიწერილობა საჭიროებს განახლებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ 2025 წელს თავად შეიძინა 100 მეტრი მავთულბადე და შემოღობა შესაბამისი ფართი (100 მ). მაგრამ რამდენადაც შესაღობია 700 მეტრი, შესრულებული სამუშაო დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.
<u>ხარვეზი: უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ტერიტორია არ არის სრულად შემოღობილი.</u>

სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები. ჯერ კიდევ ავტორიზაციის პერიოდში ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით გაწერილი.

მონიტორინგის ფარგლებში სკოლამ ვერ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნასთან დაკავშირებით. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტებში არის დირექტორის 2023 წლის 2 ოქტომბრის N 1/კ 37ᵃ ბრძანება, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად ეს საკითხი ხარვეზად ვერ ჩაითვლება.

სკოლაში ვიზიტორთა აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალში. ასევე სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები. სკოლას აქვს აქტი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სკოლამ უნდა მოაწესრიგოს შემდეგი საკითხები: სკოლას ესაჭიროება არსებული ელემენტებზე (კრონა) მომუშავე სახანძრო სისტემის შეცვლა ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაციით. ასევე გარე სახანძრო წყალმომარაგების მიზნით სკოლის ტერიტორიაზე მოსაწყობია სახანძრო ჰიდრანტი შესაბამისი სტანდარტების დაცვით ან შესაბამისი მოცულობის წყლის რეზერვუარი სახანძრო მანქანის მისაერთებელი მილყელით. სკოლას არ აქვს შესაბამისი თანხები საკითხის მოსაწესრიგებლად და ფინანსური რესურსების ძებნის დასტურად წარმოადგინა მიწერილი წერილი (MES 0 26 0000298477) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის წარმომადგენელთან. თუმცა, **აღსანიშნავია, ამ ეტაპისთვის სკოლას არ აქვს მოპოვებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

ასევე, სკოლას არ აქვს შემუშავებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ მოიპოვა ექსპერტიზის დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, რომლის მიხედვითაც შენობა ძირითადად დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაშია, მაგრამ ხანგრძლივი გამოყენებისათვის იგი საჭიროებს დროულ რეაბილიტაციას.

სკოლას არ ჰყავს მანდატური. სკოლა შიდა და გარე პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლას აქვს შემენილი ვიდეო სათვალთვალო სისტემისთვის საჭირო ყველანაირი ტექნიკა და უახლოეს დროში აპირებს მის მონტაჟს. ამ ეტაპისთვის კი, დგინდება

ხარვეზი: სკოლა არ არის აღჭურვილი უსაფრთხოებისთვის საჭირო ვიდეო სათვალთავალო სისტემით.

არსებული მექანიზმებით სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რადგან, ტერიტორია არ არის სრულად შემოსაზღვრული, არ არსებობს სრულად დადებითი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, სკოლას არ ჰყავს მანდატური, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით.

წარმოდგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, სკოლამ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელის თანახმად

1. **სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვა იგეგმება 15 თვეში (02.04.2026- 15.06.2027)**
2. **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება 10 თვეში *(05.04.2026-05.02.2027)***
3. **შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება 10 თვეში (05.04.2026-05.02.2027)**
4. **საჭირო ვიდეო სათვალთვალო სისტემის დამონტაჟება 4 თვეში (10.02.2026-10.05.2026)**

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის გადაწყვეტილება და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება - „არ შეესაბამება“ შეიცვალა „ნაწილობრივ შესაბამისად“

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- უზრუნველყოს განახლებული კომუნიკაცია უფლებამოსილ უწყებასთან და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები სკოლის ტერიტორიის სრულად შემოღობვის მიზნით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **02.04.2026-დან 15.06.2027-მდე (15 თვე)**
- უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **05.04.2026-05.02.2027 (10 თვე).**
- უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის მოპოვება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **5.04.2026-05.02.2027 (10 თვე).**
- უზრუნველყოს საჭირო ვიდეო სათვალთვალო სისტემის დამონტაჟება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **10.02.2026-10.05.2026 (4 თვე)**

ინდიკატორის შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექთანი, რომლის ვალდებულებაა პირველადი დახმარების აღმოჩენა. გადაუდებელ შემთხვევაში, იძახებს გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ბრიგადას (112-ში დარეკვით). სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე, ექთნის ხელშეკრულებით, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტითა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით გაწერილია სკოლის ექთნის უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები. სკოლის მხრიდან მონიტორინგის პროცესში მოწოდებული იქნა სამედიცინო კაბინეტის ფოტოები და შესაბამისი, საჭირო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი. სკოლას ასევე აქვს სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დოკუმენტი,რომელსაც არ ახლავს დირექტორის მიერ დამტკიცების ბრძანება. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.

რჩევა : სკოლამ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დოკუმენტი დაამტკიცოს დირექტორის ბრძანებით შესაბამისი წესების დაცვითა და პროცედურებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

მონიტორინგის პროცესში სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 18 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N2-18**-ით დამტკიცებული საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის“ დოკუმენტი. მოცემული დოკუმენტით სკოლას გაწერილი აქვს სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურები. სკოლა იყენებს შინაგანაწესის დოკუმენტს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის კუთხით.

სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი. სკოლას აგრეთვე შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის ცხრილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალსწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

მონიტორინგის პროცესში სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 18 სექტემბრის დირექტორის ბრძანება N2-18-ით დამტკიცებული საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის“ დოკუმენტი.

აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ყველა საჭირო ღონისძიება, რომელსაც საჯარო სკოლა უნდა ახორციელებდეს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. გაწერილია სკოლაში მოსწავლის, თანამშრომლების, დირექციის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში და რისკების გაზომვის ღონისძიებებიც არის მოცემული.

სკოლის მიერ მოწოდებულ ფოტოებში, რომლებშიც ასახულია სასკოლო სივრცეები, დერეფნებში გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები, ერთობლივად განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები ქმნის სკოლაში დადებით სოციო-კულტურულ გარემოს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას.

სკოლას აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

ინფრასტუქტურის დასუფთავებას ემსახურება 3 დამლაგებელი და 1 მეეზოვე. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. ჰიგიენური პირობები დაცულია, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში არის 5 სველი წერტილი: 1 გოგონებისთვის, 1 ვაჟებისათვის, 1 თანამშრომლებისთვის, 1 ერთადგილიანი მოწესრიგებული სველი წერტილი და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში ადაპტირებული სველი წერტილის უნიტაზი არ ფუნქციონირებდა (უნიტაზი იყო მოხსნილი და დასაწყობებული). ვიზიტის დროს მიეცათ რჩევა, დაედგათ ადაპტირებულ სველ წერტილში უნიტაზი, რაც გაითვალისწინეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

2025 წლის 20 მარტის სკოლის დირექტორს **ბრძანება N6-ით** განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლას გაფორმებული აქვს შეთანხმებები, სადაც მხარეები თანხმდებიან, სკოლამ გამოიყენოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემები. მსგავსი შეთანხმება აქვს სკოლას გაფორმებული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. სკოლას ავტორიზაციის პროცესში ცალკე დოკუმენტად შემუშავებული არ ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა.

მონიტორინგის პროცესში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება N2-21-ით დამტკიცებული დოკუმენტი სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დაცვის შესახებ. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი

საქმეები. სკოლის მონიტორინგის პროცესში ხარისხის ექსპერტებს მოგვეწოდა დოკუმენტაცია, რომელიც არ იყო სრულად დამუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა: მოახდინოს თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვა კანონთან შესაბამისი წესის მიხედვით და დაეყრდნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმებს დოკუმენტის მე-3-ე მუხლის პუნქტ 3-ს და მე-6-ე მუხლის პუნქტ 1-ს .

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას დირექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება N2-21-ით განსაზღრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა მუდმივად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების მონიტორინგს და შეფასებას. შესაბამისად ასახულ შედეგებს იყენებენ უსაფრთხოების კუთხით გამოკვეთილი პროცესების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესის დოკუმენტი

- დირექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის **ბრძანება N2-21** პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნის შესახებ;
- 2024 წლის 18 სექტემბრის დირექტორის **ბრძანება N2-18**-ით დამტკიცებული საჯარო სკოლის ადამიანებისა და პროცესების „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესის დოკუმენტი;
- სამედიცინო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი;
- სკოლაში სამედიცინო პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი;
- წერილი საგანმანათლებლო რესურსცენტრს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- ექიმის ხელშეკრულება;
- 2025 წლის 20 მარტის სკოლის დირექტორის ბრძანება N6 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნასთან დაკავსირებით;.

- ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;
- ფოტოები;
- ხელშეკრულებები თანამშრომლებთან.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა განთავსებულია 17 181.00 კვ. მ. ზომის მიწის ნაკვეთზე. მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის შენობა, რეაბილიტირებულია 2020-2021 წლებში. შენობა სამსართულიანია. სკოლაში 12 საკლასო ოთახია. ოთახები ნათელია. საკლასო ოთახების გარდა დამატებით არის 3 ოთახი, რომლებიც არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სკოლა აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, ურნებით. სკოლის სარგებლობაში არის 1 პროექტორი, 13 პერსონალური კომპიუტერი, 2 პრინტერი. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. მონიტორინგის პროცესის დროს სკოლა უზრუნველყოფს 41 მოსწავლის მომსახურებას. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით შეგვიძლია დავეყრდნოთ ავტორიზაციის პერიოდში ექსპერტთა ვიზიტის შესაბამის დასკვნას და სკოლის მხრიდან მონიტორინგის პროცესისთვის გადმოგზავნილი ფოტოებს.

სკოლაში არის ერთი კომპიუტერული კლასი (რომელშიც განთავსებულია 7 პერსონალური კომპიუტერი), დახურული სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, რომელიც არ არის აღჭურვილი ინვენტარით, სკოლას გააჩნია სკოლაში შემოსასვლელი პანდუსი და ადაპტირებული ერთი სველი წერტილი პირველ სართულზე, რომელიც არ ფუნქციონირებს. სკოლაში პირველ სართულზე არის რესურსოთახი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 ივლისის **N2-28 ბრძანებით** დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ასევე, ავტორიზაციის დასკვნაზე და სკოლის მიერ მონიტორინგის პროცესში გადმოგზავნილი დოკუმენტებსა და ფოტოებზე დაყრდნობით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს. სკოლაში არსებული სივრცეები - სკოლის დერეფნები, ეზო, კომპიუტერული კლასი, შეხვედრებისთვის განკუთვნილი ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი სოციალიზაციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის 2023 წლის 28 ივნისის **N2-23 ბრძანებით** დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკის მუშაობის წესი და განრიგი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლის ფართი მცირე ზომისაა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო შესაბამისი გარემო ბიბლიოთეკისთვის. სკოლის წიგნადი ფონდი დაახლოებით 8000- წიგნს . წიგნები განლაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოთეკას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არ გააჩნდა საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგი, მაგრამ გამოხატავდა მზაობას მომავლისთვის ემუშავა ელექტრონული კატალოგის გამოყენებით. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, სკოლას მიეცა რჩევა, სრულად დაემუშავებინათს წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკო წესით. მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში სკოლას არ წარმოუდგენია დამატებითი დოკუმენტაცია, რომლითაც დაადასტურებდა ავტორიზაციის ექსპერტთა მხრიდან მიცემული რჩევის გათვალისწინებას და ბიბლიოთეკაში ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალით მუშაობას. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლა სამსართულიანია. შენობაში მოწყობილია პანდუსი შესასვლელში და პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა შშმ პირებისთვის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ პირველ სართულზე. სკოლაში არ არის ლიფტი და/ან მოძრავი პანდუსი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით სკოლას ვალდებულება ჰქონდა 2024 წლის 29 აგვისტომდე უზრუნველეყო აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუმცა მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ფინანსური რესურსების არარსებობის გამო ვალდებულება არ შესრულდა. წარმოდგენილი 2023 წლის მიწერილობა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით აღარ წარმოადგენს სარწმუნო დოკუმენტს, რადგან შესაბამისი უწყება (ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს) გაუქმებულია და ფუნქციები მუნიციპალიტეტს აქვს გადაცემული.
მონიტორინგის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი განახლებული შესაბამისობის გეგმით, სკოლა გეგმავს ლიფტის ან მოძრავი პანდუსის დამონტაჟებას 22 თვის ვადაში (02.04.2026 – 05.02.2028), რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება განისაზღვრა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის მხრიდან მონიტორინგის პროცესისთვის წარმოდგენილ ფოტოებითა და ინტერვიუს საშუალებით ადასტურებს, რომ სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული კლასი, შეხვედრების ოთახი, რომელიც სააქტო დარბაზის ფუნქციას ასრულებს, ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წერილი ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- ინტერვიუ სკოლის დირექტორთან
- ფოტოები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ბალანსზე აღრიცხულია 10 პერსონალური კომპიუტერი, 24 ლეპტოპი, 2 პრინტერი, 1 პროექტორი. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება 100 მეგაბიტ/წამ სიჩქარით, ისტ–ის კაბინეტში განთავსებულია 10 კომპიუტერი და 21 ლეპტოპი, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საზიარო სივრცეს, სადაც გრაფიკის მიხედვით შესაძლებელია მუშაობა როგორც სასწავლო დღეებში, ისე არასამუშაო პერიოდში. სკოლას აქვს 1 პროექტორი და 2 ასლგადამღები აპარატი. შემუშავებულია სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

რამდენადაც სკოლა მცირეკონტიგენტიანია, არსებული რესურსი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის და მისი გამოყენება ხდება სასწავლო მიზნების შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა სკოლას შემუშავებული აქვს გრაფიკი, რომელიც არეგულიებს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ფოტო-მასალა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება 2-28 28.07.2023წ.);

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს **საქმისწარმოების წესი**, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებთან, ასევე მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებთან მუშაობის პროცედურებს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების გაცნობის თანახმად, საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს სასკოლო დოკუმენტაციის ელექტრონულ აღრიცხვასა და რეგისტრაციას, ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურებს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლებს. ასევე პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, იღებს შემოსულ კორესპონდენციას და უზრუნველყოფს მის შესწავლასა და შესაბამის ადრესატამდე დროულ წარდგენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვის პროცესში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. მათ შორის ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა **Eflow**, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების რეგისტრაციასა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას. ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში — **eSchool**. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების აღრიცხვა.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა ციფრულ არხს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს, **Microsoft Teams**-ს და სკოლის სოციალურ ქსელში არსებულ ოფიციალურ გვერდს.

აღნიშნული ტექნოლოგიური საშუალებები ხელს უწყობს ინფორმაციის დროულ გავრცელებას, თანამშრომლობის გაძლიერებასა და სასკოლო საზოგადოების ეფექტიან ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება - სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge - ის პლატფორმაზე. მასზე სრული წვდომა აქვთ სკოლის დირექტორს, და საქმისმწარმოებელს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირეტქტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს. კერძოდ, ინფორმაცია ვრცელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდის საშუალებით (https://skolebi.emis.ge/), სკოლის ოფიციალური Facebook გვერდის, ელექტრონული ფოსტის (**tushurebi@mes.gov.ge**) და **Microsoft Teams**-ის პლატფორმის მეშვეობით, რომელსაც მასწავლებლები ძირითადად საკუთარი მობილური ტელეფონების გამოყენებით იყენებენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებგვერდის და სოციალური ქსელისა დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას თავისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებგვერდზე https://skolebi.emis.ge/, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესხებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული გეგმა, 2024-2025 ს/წლის და 2025-2026 ს/წლის სამოქმედო გეგმები, 2024-2025 ს/წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, დოკუმენტები: მოსწავლის ჩარიცხვის წესი, მოსწავლის ტრანზიცია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა., ადაპტაციის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, მოსწავლეთა თვითმმართველობა-დებულება, საჩივრის და განცხადების წარდგენის წესი, შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, საინვენტარიზაციო უწყისი, 2024 და 2025 წლის ბიუჯეტები საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ირმა ხმელიძე

თარიღი 08.04.2026